



შპს აგრო უნივერსალ საქართველო
საიდენტიფიკაციო კოდი: 400213835

ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
საანგარიშგებო წლისთვის

შინაარსი:

ფინანსური ანგარიშგებები

სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	6
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	7
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....	8
1. ზოგადი ინფორმაცია.....	9
2. მომზადების საფუძველები	9
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები.....	10

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

4. შესადარისი ინფორმაციის ცვლილება	10
7. გადახდილი ავანსები.....	12
8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	12
9. ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები.....	12
10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	12
11. საგადასახადო ვალდებულებები.....	12
12. პირობითი ვალდებულებები.....	13
13. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	14

შპს აგრო უნივერსალ საქართველო
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ცხრილში ციფრები მოცემულია ქართულ ლარში)

პერიოდი	01/01/2023 - 31/12/2023	01/01/2022 - 31/12/2022	01/01/2021 - 31/12/2021
საოპერაციო შემოსავლები	2,887,733.90	2,244,351.48	2,505,330.93
შემოსავალი რეალიზაციიდან	2,887,733.90	2,244,351.48	2,505,330.93
გაყიდული საქონელი დაბრუნება და ფასდათმობა	0.00	0.00	0.00
არასაოპერაციო შემოსავლები	308,494.82	140,262.96	9,692.33
არასაოპერაციო მოგება	45,375.92	11,177.30	1,212.43
კონვერტაციის შემოსავალი	10,226.50	9,270.49	336.65
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	252,892.40	119,815.17	8,143.25
შემოსავლები სულ	3,196,228.72	2,384,614.44	2,515,023.26
საოპერაციო ხარჯები	2,546,446.91	2,066,822.55	2,341,072.33
ძირითადი მასალების დანახარჯები/შეძენა	1,804.76	1,436.83	132.97
ცვეთა და ამორტიზაცია	53,574.86	32,067.69	1,573.63
გაყიდული შეძენილი საქონელი	2,184,308.96	1,802,529.04	2,149,303.89
სასაქონლო-მატერიალური მარაგის კორექტირება	19,185.92	9,257.98	1,721.30
რეკლამის ხარჯები	183.07	415.02	0.00
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	100.00	5,191.33	1,973.73
მიწოდების სხვა ხარჯები	0.00	0.00	58.90
შრომის ანაზღაურება	208,341.81	170,503.53	161,339.26
სოციალური დანარიცხები	4,649.30	3,836.49	3,713.08

საიჯარო ქირა	2,775.44	3,050.86	3,050.88
წარმოების ხარჯი	1,542.39	6,754.25	1,737.28
თანამშრომელთა ტრენინგები	250.00	0.00	969.49
საოფისე ინვენტარი	570.55	0.00	0.00
კომუნიკაციის ხარჯები	4,968.89	675.96	976.87
კომუნალური ხარჯები	2,205.93	105.90	369.27
დაზღვევა	4,740.52	3,237.54	469.56
სამივლინებო ხარჯები	21,532.02	8,832.55	5,217.79
კომპიუტერის ხარჯები	0.00	0.00	1,876.52
საკონსულტაციო ხარჯები	5,069.49	0.00	0.00
წარმომადგენლობითი ხარჯი	0.00	864.15	0.00
თარგმნის და ნოტარიუსის ხარჯი	1,913.27	637.76	0.00
ინფორმაციის მოძიების ხარჯი	4.90	3,029.40	9.80
კომპანიის დიზაინის შექმნა და სავიზიტო ბარათები	400.00	350.00	900.00
საბანკო მომსახურება	5,061.33	3,117.49	3,086.56
სხვა საერთო ხარჯი	23,263.50	10,928.78	2,591.55

არასაოპერაციო ხარჯები	90,823.13	83,860.59	22,441.30
საპროცენტო ხარჯები	56,652.07	0.00	0.00
არასაოპერაციო ზარალი	1,351.64	9,590.08	10,806.25
კონვერტაციის ხარჯი	24,083.25	17,690.44	11,635.05
ჯარიმები	0.00	10.00	
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	8,736.17	56,570.07	

სარჯები სულ	2,637,270.04	2,150,683.14	2,363,513.63
--------------------	---------------------	---------------------	---------------------

მოგება დაბეგვრამდე	558,958.68	233,931.30	151,509.63
მოგების გადასახადი	83,843.80	35,089.70	22,726.44
მოგება დაბეგვრის შემდეგ	475,114.88	198,841.61	128,783.19

მოგება ზარალის უწყისი

კომპანია: შპს აგრო უნივერსალ საქართველო
საიდენტიფიკაციო კოდი: 400213835

ვალუტა: GEL

პერიოდი	01/01/2023 - 31/12/2023	01/01/2022 - 31/12/2022	01/01/2021 - 31/12/2021
საოპერაციო შემოსავლები	2,887,733.90	2,244,351.48	2,505,330.93
შემოსავალი რეალიზაციიდან	2,887,733.90	2,244,351.48	2,505,330.93
გაყიდული საქონელი დახრუნება და ფასდათმ.	0.00	0.00	0.00
არასაოპერაციო შემოსავლები	308,494.82	140,262.96	9,692.33
არასაოპერაციო მოგება	45,375.92	11,177.30	1,212.43
კონვერტიციის შემოსავალი	10,226.50	9,270.49	336.65
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	252,892.40	119,815.17	8,143.25
შემოსავლები სულ	3,196,228.72	2,384,614.44	2,515,023.26
საოპერაციო ხარჯები	2,546,446.91	2,066,822.55	2,341,072.33
ძირითადი მასალების დანახარჯები/შეძენა	1,804.76	1,436.83	132.97
ფუნდამენტური ხარჯები	53,574.86	32,067.69	1,573.63
გაყიდული შეძენილი საქონელი	2,184,308.96	1,802,529.04	2,149,303.89
სასაქონლო-მატერიალური მარაგის კორექტირ.	19,185.92	9,257.98	1,721.30
რეკლამის ხარჯები	183.07	415.02	0.00
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	100.00	5,191.33	1,973.73
მიწოდების სხვა ხარჯები	0.00	0.00	58.90
შრომის ანაზღაურება	208,341.81	170,503.53	161,339.26
სოციალური დანარიცხები	4,649.30	3,836.49	3,713.08
არასაოპერაციო ხარჯები	90,823.13	83,860.59	22,441.30
საპროცენტო ხარჯები	56,652.07	0.00	0.00
არასაოპერაციო ზარალი	1,351.64	9,590.08	10,806.25
კონვერტიციის ხარჯი	24,083.25	17,690.44	11,635.05
ჯარიმები	0.00	10.00	0.00
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	8,736.17	56,570.07	0.00
ხარჯები სულ	2,637,270.04	2,150,683.14	2,363,513.63
მოგება დაბეგრამდე	558,958.68	233,931.30	151,509.63
მოგების გადასახადი	83,843.80	35,089.70	22,726.44
მოგება დაბეგრის შემდეგ	475,114.88	198,841.61	128,783.19

დირექტორი
დავით რატიანი

8-19 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს აგრო უნივერსალ საქართველო
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ცხრილში ციფრები მოცემულია ქართულ ლარში)

დასახელება	შენიშვნა	თარიღი: 31/12/2023	თარიღი: 31/12/2022
აქტივები		3 236 602	1 069 891
მიმდინარე აქტივები		2 431 516	956 678
მიმდინარე მოთხოვნები		855 512	554 036
გადახდილი ავანსები	5	1 298 862	0
სასაქონლო მატერიალური აქტივები		83 377	91 134
ნაღდი ფული	6	193 766	311 508
გრძელვადიანი აქტივები		805 086	113 213
ძირითადი საშუალებები		803 391	112 874
არამატერიალური აქტივები		1 695	339
პასივები		3 236 602	1 069 891
მიმდინარე ვალდებულებები		703 585	296 918
მიმდინარე ვალდებულებები	7	697 860	293 184
მიღებული ავანსები		0	0
მოკლევადიანი სესხები		0	0
სხვა ვალდებულებები	8	5 725	3 734
გრძელვადიანი ვალდებულებები		1 180 000	0
სასესხო ვალდებულებები	9	1 180 000	0
სხვა ვალდებულებები		0	0
კაპიტალი და რეზერვები		1 353 017	772 973
სასესხო საწესდებო კაპიტალი		75 850	54 850
გაუნაწილებელი მოგება		718 208	484 193
საანგარიშო პერიოდის მოგება ზარალი		558 959	233 931
რეზერვები		0	0

შპს აგრო უნივერსალ საქართველო
 საკუთარი კაპიტალის ცვლილების
 ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის
 მდგომარეობით
 (ცხრილში ციფრები მოცემულია ქართულ ლარში)

	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2021 წლის 31 დეკემბრისთვის	484,277	484,277
წლის სრული შემოსავალი	233,931	233,931
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-	-
2022 წლის 31 დეკემბრისთვის	718,208	718,208
წლის სრული შემოსავალი	558,959	558,959
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-	-
2023 წლის 31 დეკემბრისთვის	1,277,167	1,277,167

8-19 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს აგრო უნივერსალ საქართველო
 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

პერიოდი	2023/01/01 - 2023/12/31	2022/01/01 - 2022/12/31
ფულადი სახსრების საწყისი ნაშთი	311508.00	252569.00
საოპერაციო საქმიანობა	-1512520.93	84948.00
კლიენტებისგან მიღებული ფულადი სახსრები	2981525.29	2473100.94
შემოსავალი რეალიზაციიდან	2790129.92	1619324.75
მიღებული ავანსები	126625.00	835680.00
საქვეანგარიშოდ გაცემული თანხების დაბრუნება	56450.00	12700.00
მომწოდებლებისგან თანხის დაბრუნება	8320.37	5396.19
გადახდები	-4494046.22	-2388152.94
სახელფასო ხარჯი	-163340.00	-93000.00
მომწოდებელზე გადახდილი თანხები	-4317322.13	-2294532.83
საბანკო მომსახურების ხარჯი	-2360.00	-620.11
მივლინების ხარჯები	-11024.09	0.00
საინვესტიციო საქმიანობა	0.00	0.00
საწესდებო კაპიტალის შემცირება	0.00	0.00
მიღებული ფულადი სახსრები	0.00	0.00
საწესდებო კაპიტალის ზრდა	0.00	0.00
გადახდები	0.00	0.00
საწესდებო კაპიტალის შემცირება	0.00	0.00
საფინანსო საქმიანობა	1394778.93	-26009.00
მიღებული ფულადი სახსრები	1430000.00	0.00
გრანტი	250000.00	0.00
სესხის მიღება	1180000.00	0.00
გადახდები	-35221.07	-26009.00
სესხის დაფარვა	0.00	0.00
პროცენტის გადახდა	-56652.07	0.00
პარტნიორების მიერ ფულის გატანა	0.00	0.00
კაპიტალიდან		
ზარალი სავალურო კურსის შედეგად	21431	-26009
დივიდენდების გადახდა	0.00	0.00
ფულადი ნაკადების წმინდა ზრდა	-117742.00	58939.00
ფულადი სახსრების საბოლოო ნაშთი	193766.00	311508.00

8-19 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს აგრო უნივერსალ საქართველო

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ცხრილში ციფრები მოცემულია ქართულ ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს აგრო უნივერსალ საქართველო 2017 წლის 15 აგვისტოს დაფუძნდა და იმ დღიდან ახორციელებს ევროპული წარმოების ცხოველების საკვები კონცენტრატებისა და პრემიქსების იმპორტსა და რეალიზაციას საქართველოში. 2023 წლის აგვისტოდან კომპანიამ დაიწყო საქმიანობისა და ქარხნის მშენებლობა, რათა ადგილობრივი პროდუქცია აწარმოოს საკუთარი ძალებით.

კომპანია დაფუძნებულია ქართული კანონმდებლობის შესაბამისად და რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით: 400213835. კომპანია რეგისტრირებულია შემდეგ მისამართზე: საქართველო, გორის რაიონი, კარალეთის ადმინისტრაციული ერთეული, ბლოკი 931, ნაკვეთი 001.

დაარსების დღიდან კომპანიის დამფუძნებლები არიან საქართველოს მოქალაქე ორი ფიზიკური პირი, და სტრუქტურა დღემდე უცვლელია.

- დავით რატიანი (პ/ნ 62001036425), 75% წილის მფლობელი
- მიხეილ მელაძე (პ/ნ 59001037751), 25% წილის მფლობელი

დაფუძნების დღიდან კომპანიის დირექტორია დავით რატიანი (პ/ნ 62001036425).

2. მომზადების საფუძველი

ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია კომპანიის მიერ მცირე და საშუალო საწარმოების სტანდარტების (მსს ფასს) მოთხოვნების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში.

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები შეფასებულია იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტაში, სადაც საწარმო ახორციელებს საქმიანობას. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც ასევე არის კომპანიის სააღრიცხვო ვალუტა.

რიცხვები ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია ლარამდე დამრგვალებით, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

შეფასების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფუნქციონირებადი საწარმო

საქმიანობის უწყვეტობა მომზადების საფუძვლის მიზანშეწონილობის დადგენისას, კომპანიის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა არსებული დამატებული პოლიტიკური მდგომარეობა საქართველოში და რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა, კომპანიის საქმიანობაზე, ლიკვიდურობასა, და დაფინანსებაზე. ამის საფუძველზე 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობას სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისათვის.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მსგავსი შეფასებები და დაშვებები მუდმივად მუშავდება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, მათ შორის, ისეთი მომავალი მოვლენების გათვალისწინებით, რომელიც მოსალოდნელია გონივრულ ფარგლებში. მომავალში მიღებული ფაქტობრივი შედეგი შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

კომპანია ახდენს შეფასებებისა და დაშვებების გადახედვას ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. სააღრიცხვო შეფასების გადასინჯვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შეფასება იქნა გადახედული, თუ აღნიშნული ეხება მხოლოდ ამ პერიოდს; ან გადასინჯვისა და მომავალ პერიოდებში, თუ გადახედვა ეხება ორივე, მიმდინარე და მომავალ პერიოდებს.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა - ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელ მოხმარებას, ტექნიკური მოძველების შეფასებას, ფიზიკურ ცვეთასა და იმ ფიზიკურ გარემოს, სადაც იყენებენ ამ აქტივს. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება - ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ფინანსური აქტივები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ დამდგარმა ერთმა ან ერთზე მეტმა მოვლენამ გავლენა მოახდინა ფინანსური აქტივიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე. კომპანია აფასებს ფინანსური აქტივების გაუფასურებას წარსული გამოცდილების საფუძველზე. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

დაბეგვრა - ქართული საგადასახადო კანონმდებლობა შეიძლება დაექვემდებაროს სხვადასხვა ინტერპრეტაციებს და შეიძლება მან ცვლილებები განიცადოს. ამასთან, საგადასახადო კანონმდებლობის ხელმძღვანელობისეული ინტერპრეტაცია შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისგან, რის გამოც კომპანიას შეიძლება დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტის თანხა დაეკისროს. კომპანია დარწმუნებულია, რომ მან უკვე გადაიხადა ყველა გადასახადი, ამიტომ ფინანსურ ანგარიშგებაში ანარიცხი არ შეუქმნია. საგადასახადო წელი საგადასახადო ორგანოს მიერ ინსპექტირებისთვის ღიად რჩება მომდევნო სამი კალენდარული წლის განმავლობაში.

ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები - კომპანიის მიერ ანარიცხის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენის შედეგად, და სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარავად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განთავსებული რესურსების გასვლა და შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება. იმ შემთხვევაში, როდესაც ყველა ეს პირობა არ კმაყოფილდება, პირობითი ვალდებულების წარდგენა შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში. ნებისმიერი პირობითი ვალდებულების რეალურად განხორციელებამ იმ შემთხვევაში, თუ ის არ არის აღიარებული ან დაფიქსირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში, შესაძლოა არსებითი გავლენა მოახდინოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე.

4. შესადარისი ინფორმაციის ცვლილება

კომპანიამ 2023 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია შესადარისი ინფორმაცია, რომელიც მოიცავს 2022 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას და 2021 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას.

შპს აგრო უნივერსალ საქართველო

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ცხრილში ციფრები მოცემულია ქართულ ლარში)

5. გადახდილი ავანსები

2023 წლის გაზაფხულზე კომპანიამ გაიმარჯვა ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტოს (ს/კ 404923785) საგრანტო კონკურსში, რომელთანაც ხელშეკრულება გაფორმდა 2023 წლის 12 ივნისს (RDAGR000412) და დღეს, შიდა ქართლში, ქ. გორში, კარალეთის ადმინისტრაციულ ერთეულზე 66.46.16.931.001 მიმდინარეობს ცხოველთა საკვებ-წარმოების ქარხნისა და საწყობის მშენებლობა. პროექტის ჯამური ღირებულება 3 მლნ ლარზე მეტია. მშენებლობა დასრულდება 2024 წლის აგვისტოში და დანადგარების დამონტაჟება დასრულდება 2025 წლის იანვარში. ქარხანა პირველი ადგილობრივი პროდუქციის გამოშვებასა და გაყიდვას შეძლებს 2025 წლის მარტში. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, მანქანა დანადგარების შესაძენად იქნა ავანსი გადახდილი თანხით 1 298 862 ლარი.

6. ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	157 668	151 361	53 178
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	36 098	196 147	199 391
	193 766	311 508	252 569

7. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

კომპანიას ჰქონდა სავაჭრო და სხვა ვალდებულებები, რომლებიც ჩაშლილია რეზიდენტებად და არარეზიდენტებად.

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
არარეზიდენტების მიმართ ვალდებულებები	578 273	287 192	192 554
რეზიდენტების მიმართ ვალდებულებები	119 587	9 726	2 855
	697 860	296 918	195 409

8. საგადასახადო ვალდებულება

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის 1 იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად, კომპანიის ჰქონდა საგადასახადო ვალდებულებები, რომლებიც 2023 წლის 31 დეკემბრისათვის შეადგენდა 5725 ლარს.

9. გრძელვადიანი ვალდებულებები

ცხოველთა საკვებ-წარმოების ქარხნისა და საწყობის მშენებლობის პროექტისთვის იქნა აღებული სესხი სს “თიბისი ბანკი”-სგან.

10. პირობითი ვალდებულებები

სამართლებრივი დავები - 2023 და არც წინა წლების 31 დეკემბერის მდგომარეობით კომპანია არ მონაწილეობდა რაიმე მნიშვნელოვან სასამართლო დავაში. ხელმძღვანელობის აზრით არ წარმოიქმნება რაიმე არსებითი, დაურიცხავი ზარალი და შესაბამისად, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ანარიცხი შექმნილი არ არის.

შპს აგრო უნივერსალ საქართველო

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ცხრილში ციფრები მოცემულია ქართულ ლარში)

გადასახადები - საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, ჯგუფს შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ კომპანიის ბოლო სამი წლის მონაცემების შემოწმება.

საოპერაციო გარემო - ისეთ განვითარებად ბაზრებს, როგორიც საქართველოა, ახასიათებთ განვითარებული ბაზრებისგან განსხვავებული რისკები, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, ასევე სამართლებრივი და საკანონმდებლო რისკები. კანონები და რეგულირება, რომელიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, ისევ სწრაფად იცვლება, საგადასახადო და მარეგულირებელი საფუძვლები სხვადასხვა ინტერპრეტაციებს ექვემდებარება. საქართველოს სამომავლო ეკონომიკურ მიმართულებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, ისევე როგორც სამართლებრივი, მარეგულირებელი და პოლიტიკური გარემო.

შპს აგრო უნივერსალ საქართველო

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ცხრილში ციფრები მოცემულია ქართულ ლარში)

11. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკები ვრცელდება ამ ფინანსურ ანგარიშგებებში წარდგენილ ყველა პერიოდზე, თუ საწინააღმდეგო არ არის ნათქვამი.

უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაცია

ფინანსურ ანგარიშგებაში შემავალი მუხლები ფასდება იმ ეკონომიკურ გარემოში არსებული ვალუტით, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს („ფუნქციური ვალუტა“). ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც არის კომპანიის ფუნქციური და წარსადგენი ვალუტა.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია კომპანიის ფუნქციურ ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.

კურსთაშორის სხვაობიდან წარმოქმნილი მოგება და ზარალი, რომელიც მიიღება ტრანზაქციათა განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის ფუნქციურ ვალუტაში გადაყვანის შედეგად წლის ბოლოს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. გადაფასება წლის ბოლოს არ ეხება არაფულად მუხლებს.

უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისათვის	2.6894	2.9753
კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის	2.7020	2.8844
კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	3.0976	3.5040

ფინანსური აქტივები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომ ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების ანარიცხის გამოკლებით.

ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ დამდგარმა ერთმა ან ერთზე მეტმა მოვლენამ გავლენა მოახდინა მოთხოვნიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე. გაუფასურების ზარალის ოდენობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც მიიღება ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირების მეშვეობით.

შპს აგრო უნივერსალ საქართველო

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ცხრილში ციფრები მოცემულია ქართულ ლარში)

ფინანსური ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები არის საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში მიღებული სერვისის ან შეძენილი საქონლის სანაცვლოდ მომწოდებლისთვის გადასახდელი თანხები. სავაჭრო და სხვა ვალდებულებების აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომ ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზებისა და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. შემოსავალისა და ხარჯის ურთიერთგადაფარვა არ ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ეს არ მოითხოვება ან ნებადართული არ არის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტით ან ინტერპრეტაციით და კონკრეტულად გამჟღავნებული არ არის კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ განმარტებით შენიშვნებში.

ფინანსური ვალდებულებებისა და აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც კონტრაქტიდან წარმომდგარი ფულადი ნაკადების მიღების უფლება იწურება, ან ეს უფლება კონტრაქტის საფუძველზე გადაეცემა სხვა მხარეს მფლობელობის უფლებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელთან ერთად. ნებისმიერი წილი გადაცემულ ფინანსურ აქტივში, რომელიც უნარჩუნდება კომპანიას, მის მიერ აღიარდება, როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

ამონაგები

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით.

ამონაგები შემცირდება ფასდათმობისა და მსგავსი გამოქვითვების შეფასებული ოდენობით.

კომპანია იყენებს ხუთ ეტაპიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

მომსახურების გაწევიდან მიღებული ამონაგები აღიარდება როდესაც დაკმაყოფილებულია ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

- ამონაგების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია;
- მოსალოდნელია, რომ მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოვა;

შპს აგრო უნივერსალ საქართველო

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ცხრილში ციფრები მოცემულია ქართულ ლარში)

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებას ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

დაბეგვრა

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია არსებული კანონმდებლობის ან საანგარიშგებო პერიოდი ბოლოსთვის ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადით იბეგრება წმინდა მოგების განაწილება. საანგარიშგებო პერიოდში მოგების გადასახადის მოქმედი განაკვეთი არის 15 %, ტექნიკურად, გადასახადის დაანგარიშების მიზნებისთვის დასაბეგრ მოგებას მიესადაგება შემდეგი განაკვეთი - 15%/85%. მოგების გადასახადის გადახდა ხდება ფიზიკურ და არა-რეზიდენტ (როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ) პირებზე გაცემულ დივიდენდზე.

დივიდენდების განაწილების გარდა გადასახადი გადასახდელია იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უფასო მიწოდება და წარმომადგენლობითი დანახარჯები, რაც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას. ყველა გადახდილი ავანსი საწარმოებზე, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში და სხვა გარკვეული ოპერაციები მსგავს საწარმოებთან, ისევე როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, მაშინვე დაბეგვრადია. მსგავსი გადასახადები, სხვა გადასახადებთან ერთად, პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული საწარმოებისაგან აღნიშნული გადახდილი ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებებზე მოთხოვნილი საგადასახადო კრედიტის გამოკლებით, ან ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტებზე გაცემული სესხების ამოღების გამოკლებით, აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში ასახულ 'გადასახადებში', და არა მოგების გადასახადში.

კომპანია აღიარებს მოგების გადასახადს და ვალდებულებას იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდის გამოცხადება, მიუხედავად იმისა, რომელი პერიოდის დივიდენდის გაცემას ეხება ან როდის გაიცემა.

საქართველოში არსებული საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო და ფინანსურ ბაზებს შორის სხვაობები არ წარმოშობენ გადავადებულ საგადასახადო აქტივსა და ვალდებულებას.

გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა, აღიარდება მავალდებულებელი მოვლენის

წარმოქმნის დროს. მავალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც ავალდებულებს კომპანიას გადაიხადოს გადასახადი. გადასახადები დაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები აღიარდება აქტივად.

შპს აგრო უნივერსალ საქართველო

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ცხრილში ციფრები მოცემულია ქართულ ლარში)

ძირითადი საშუალებები

აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს უშუალოდ დაკავშირებულ ხარჯებს და მომავალი ვალდებულებების სავარაუდო დღევანდელ ღირებულებას, ასევე შეძენის მიმდინარე ფასს.

შემდგომი ხარჯები

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ცვეთა

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში და ექვემდებარება სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს აქტივის ჩამოწერას.

ცვეთა ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფს ერიცხება წრფივად. სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე.

ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად წარმოშობილი მოგება ან ზარალი განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების ცვეთის განაკვეთი

სასარგებლო
მომსახურების
ვადები (წელი)

საოფისე აღჭურვილობა

3-5

კომპიუტერული აღჭურვილობა

3-5

ავეჯი და სხვა ინვენტარი

3

შენობები და დაუმთავრებელი მშენებლობა

10-25

სატრანსპორტო საშუალებები

5-10

არაფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანიის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება განიხილება ყოველი ფინანსური ანგარიშგების წარდგენის თარიღისათვის, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება. გაუფასურების დადგენის მიზნით, აქტივები, რომელთა ინდივიდუალური შეფასება ვერ ხერხდება, ერთიანდება მცირე აქტივთა ჯგუფებში. ეს ჯგუფები („ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული“, „ფსწე“), მუდმივი გამოყენების პირობებში, უზრუნველყოფენ ფულადი ნაკადების ისეთ შემოდინებას, რომელიც სრულიად დამოუკიდებელია სხვა აქტივების ან აქტივთა ჯგუფის მიერ წარმოქმნილი ფულადი ნაკადებისგან.

შპს აგრო უნივერსალ საქართველო

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ცხრილში ციფრები მოცემულია ქართულ ლარში)

აქტივის ან „ფსწე“-ს ანაზღაურებადი ღირებულება არის მის გამოყენებით ღირებულებასა და საბაზრო ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯებს შორის უდიდესი. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას, მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულება გადასახადების გადახდამდე დისკონტის განაკვეთის გამოყენებით ასახავს ფულის დროში ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებას და ამ აქტივებისთვის დამახასიათებელ რისკებს.

გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება იმ შემთხვევაში თუ აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას.

კაპიტალი

საკუთარი კაპიტალი არის სხვაობა აღიარებულ აქტივებსა და აღიარებულ ვალდებულებებს შორის. წარმოდგენილ ანგარიშგებაში კომპანიის საკუთარი კაპიტალი შედგება წლების განმავლობაში დაგროვილი მოგებისგან.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

ვალდებულების წარმოშობი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- კანონმდებლობიდან; ან
- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:

- წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიაჩნის სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

კომპანია საეჭვო ვალდებულების ანარიცხებს ქმნის, რათა აღრიცხოს მომხმარებლების მიერ გადახდების

შპს აგრო უნივერსალ საქართველო

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ცხრილში ციფრები მოცემულია ქართულ ლარში)

განხორციელების უუნარობის შედეგად მიღებული შეფასებული ზარალი. საექვო ვალების ანარიცხების ადეკვატურობის შეფასებისას ხელმძღვანელობა თავისი შეფასების საფუძვლად იყენებს საერთო ეკონომიკურ მდგომარეობას, დებიტორული დავალიანებების ნაშთების ხანდაზმულობას, წარსულში ჩამოწერის გამოცდილებას, მომხმარებლის კრედიტუნარიანობასა და გადახდის პირობების ცვლილებებს. ეკონომიკაში, დარგში ან კონკრეტული მომხმარებლის გარემოებების ცვლილებებმა შეიძლება განაპირობოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული საექვო ვალების ანარიცხების ცვლილება.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2023 წლის 31 დეკემბრის შემდგომ ქვეყანაში არსებული დაძაბული ეკონომიკური მდგომარეობა რა გავლენას იქონიებს კომპანიის საქმიანობაზე, ხელმძღვანელებს უჭირთ შეფასება.